ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7218475

ნომერი: AR11057666

თარიღი : 16.09.2024

გაცემის თარიღი : 17.09.2024

გაცნობის თარიღი : 17.09.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა, N 27;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ომარ ჯაფარიძე პ/ნ 01024053648
- თბილისი ვ.დოლიძის ქ. კორ. 1 ბ. 2

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 სექტემბრის №7216553 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 16 სექტემბერს №AR11057666 განცხადებით მომართა ომარ ჯაფარიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის 13

სექტემბრის №7216553 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში განმცხადებლის სახელისა და გვარის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 სექტემბრის №7216553 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 12 ივნისის № 7078523 ბრძანებაში და ბრძანების მე–3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „.მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 13 სექტემბრიდან 2024 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით.“.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2024 წლის 13 სექტემბრის №7216553 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში არასწორადაა მითითებული განმცხადებლის სახელი და გვარი. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ 2024 წლის 06 სექტემბერს №AR11056440 განცხადებით მომართა ომარ ჯაფარიძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 12 ივნისის №7078523 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება. სამსახურის 2024 წლის 13 სექტემბრის №7216553 ბრძანებით დაკმაყოფილდა მოთხოვნა, თუმცა ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში განმცხადებლის სახელი და გვარი ტექნიკური შეცდომის შედეგად არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 სექტემბრის №7216553 ბრძანებაში და ბრძანების პირველ პუნქტში „ზურაბ ეზუგბაიას“ ნაცვლად დაფიქსირდეს „ომარ ჯაფარიძე“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 სექტემბრის №7216553 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 სექტემბრის №7216553 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.